

ბ უ რ ი ი ს
თ ა ვ ა ღ თ ა ღ ა ა ზ ნ ა უ რ თ ა
ო ჯ ა ხ ე ბ ი

ფოტოტიპიური გამოცემა
ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის
რედაქციით

თბილისი
„მცნიერება“
1993

„გურიის თავდთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სია“, რომელიც 1850 წლით თარიღდება, მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს გასული საუუნის საქართველოს ერთი კუთხის სოციალური სტრუქტურის შესახებ.

იგი უთუოდ საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიკოსების, დემოგრაფების, ლიტერატორების, სოციოლოგებისა და ონომასტიკოსთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

წიგნი ობჟექტება საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ლიხაურის ასოციაციის ინიციატივით.

ასოციაციის პრეზიდენტი მინდია სალუქვაძე

გამგეობის თავმჯდომარე რობერტ გოგოლიშვილი

0502000000

გ ----- 93

67(06) – 93

გამომცემლობა „მცენიერება“ 1993

5 – 0 – 011172 – 91

წინათქმა

დოკუმენტი, რომელსაც ამ წიგნით გაეცნობა მკითხველი, მრავალმხრივ არის საინტერესო. მასში მოცემულია მეტად საგულისხმო ცნობები გურიის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის შესახებ დაახლოებით საუკუნე-ნახევრის წინათ. წინამდებარე ფოტოტიპიური გამოცემა მომზადებულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო აქივში დაცული დედნის მიხედვით (ფონდი 213, აღწ. 1, საქმე №2128 ა).

ამ წიგნის გამოცემის იდეა ეკუთვნის საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თანამედროვე სანიმუშო ეროვნული სოფლის მოწყობა-განაშენიანების ლიხაურის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს, თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებულ პიროვნებას, სპეციალობით მხატვარსა და არქიტექტორს, ბატონ რობერტ გოგოლიშვილს. მან მთხოვა მე, როგორც აღნიშნული ასოციაციის პრეზიდენტს, მხარი დამეჭირა ამ საქმეში, რაც ფრიად სასიამოვნო უნდა ყოფილიყო ყველა მამულიშვილისათვის, მით უმეტეს — ფესვებით გურიაში მდგომისათვის. სამწუხაროდ, თვითონ ამ იდეის ავტორი ვერ მოესწრო მის განხორციელებას და თავისი სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ მისივე ინიციატივითა და მეცადინეობით ადრეც, 1989 წელს, განხორციელდა მსგავსი ფოტოტიპიური რეპროდუქცია რომში 1629 წელს გამოცემული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნისა. მრავალი ასეთი პატრიოტული იდეა დარჩა მას განუხორციელებელი.

საარქივო დოკუმენტი, რომლის ფოტოტიპიურ სურათსაც იძლევა წინამდებარე წიგნი, შედგენილია რუსულად და ხელმოწერილია რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის მიერ სანკტ-პეტერბურგში 1850 წლის 6 დეკემბერს. მისი თარგმანი უანგაროდ შეასრულა ქალბატონმა მანანა ფირცხალავამ. ჩვენი თხოვნით, ასევე უანგაროდ

წიგნის რედაქტორობა იკისრეს ცნობილმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ და ცნობილმა ისტორიკოსმა პროფესორმა ქველი ჩხატარაიშვილმა, რომლებმაც წიგნს დაურთეს გამოკვლევა, სადაც მოცემულია დოკუმენტის ისტორიული და ენათმეცნიერულ-ონომასტიკური მნიშვნელობის შეფასება. წიგნს ერთვის; აგრეთვე, სახელთა საძიებელი, შედგენილი ბატონ ბადრი კუჭავას მიერ.

წიგნის მხატვრობა უსასყიდლოდ შეასრულა ცნობილმა გრაფიკოსმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა, ბატონმა ანტონ დუმბაძემ. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ წინამდებარე წიგნი აწყობილია მის მიერვე შექმნილი შრიფტით, რომელსაც „აკადემიური“ გარნიტური ჰქვია.

გარკვეანზე გამოსახული გურიის სამთავროს გერბი, მამალი შველი მზის ქვეშ, აღებულია ვახუშტი ბაგრატიონის ატლასიდან.

წიგნის დასტამბვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის დირექტორს, პოლიგრაფიული საქმის ბრწყინვალე სპეციალისტს, ბატონ რვაზ გრიგოლიას და მის თანამშრომლებს.

გულითად მადლობას მოვახსენებ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებას, რომელთაც მამულიშვილური ვალი მოიხადეს ერის წინაშე და თავიანთი უანგარო დახმარებით ხელი შეუწყვეს ამ წიგნის გამოცემას.

ეფიქრობ, მკითხველი ჯეროვნად დააფასებს მათ ნამოღვაწარს.

მ ი ნ დ ი ა ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე
აკადემიკოსი

გ უ რ ი ი ს თ ა ვ ა ლ - ა ზ ნ ა უ რ თ ა ს ი ა

„გურიის თავად-აზნაურთა სია“, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის წინამდებარე გამოცემით ხდება ხელმისაწვდომი, მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია. ჩვენში ჯერჯერობით ამ სახის მხოლოდ ერთი დოკუმენტია გამოცემული, — 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე დართული ქართლ-კახეთის სამეფოს თავად-აზნაურთა სია. იმისათვის, რომ თვალსაჩინო გახდეს მსგავსი ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობა და მათი გამოცემის მიზანშეწონილობა, ქვემოთ მოკლედ შევხებით ამ საგანთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს.

I. გ ე ნ ე ა ლ ო გ ი უ რ ი კ ვ ლ ე ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა

ოჯახებისა და გვარების წარმოშობის, მემკვიდრეობისა და ნათესაური კავშირების სისტემური კვლევა დამხმარე ისტორიული მეცნიერების — გ ე ნ ე ა ლ ო გ ი ა ს საგანია. გენეალოგიურ კვლევას საფუძველი ძველ სამყაროში ჩაეყარა, მაგრამ იგი განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში განვითარდა: იქმნებოდა დინასტიების, არისტოკრატიული გვარებისა და ოჯახების გენეალოგიური ხეები და ტაბულები, საგვარეულო სიები. XIX საუკუნეში გენეალოგია ისტორიის დამხმარე მეცნიერული კვლევის დარგად ჩამოყალიბდა. გაჩნდა სათანადო პერიოდული და სხვა სახის გამოცემები, ცნობარები, მომრავლდნენ ამ დარგის სპეციალისტები.

წოდებრიობაზე დაფუძნებულ ფეოდალურ საზოგადოებაში გენეალოგიას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: მისი ცოდნა აუცი-

ლებელი იყო დინასტიური თუ უფრო დაბალი რანგის საქორწინო კავშირების დამყარებისას, მემკვიდრეობის ან სხვა რიგის სადავო საკითხების გადაჭრისას, სასამართლო პრაქტიკაში, დოკუმენტთა ნამდვილობა-ნაყაღბეობის დასადგენად და ა. შ. წარმოშობის, წოდების დამტკიცება აუცილებელი იყო სხვადასხვა სახის კორპორაციულ კავშირებში (მაგ. ეროპაში — რაინდთა ორდენებში), მონასტრებში, სასწავლებლებში მიღებისათვის (ასეთი პრივილეგია მხოლოდ არსტოკრატთა პქონდა).

წარმოშობას, გვარჩამომავლობას, წოდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის იმპერიაში და ქართული სამეფო-სამთავროების ამ იმპერიაში შესვლისას ქართული მხარე ერთ-ერთ წინაპირობად ქართველი თავად-აზნაურების რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურებთან უფლებრივ გათანასწორებას აყენებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია დაერთო.

სწორედ ამ პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარეობდა გურიის თავად-აზნაურთა 1850 წლის სიის დადგენა-დამტკიცება. ამ სიის ნაბეჭდი ეგზემპლარები, როგორც სახელმძღვანელო საცნობარო დოკუმენტი, სამაზრო და საგუბერნიო დაწესებულებებში ინახებოდა.

საქართველოს ისტორიისთვის გენეალოგიური კვლევის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანის დამსახურება. ჩვენს საუკუნეში გენეალოგიურ კვლევა-ძიებას წარმატებით აწარმოებდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე, ოლღა სოსელია და ჭხვანი. აღსანიშნავია, რომ გასაგები მიზეზის გამო (საბჭოთა სახელმწიფოში, იდეოლოგიური მოსაზრებით, გენეალოგია უგულვებელყოფილი იყო), გენეალოგობა თავის სპეციალობად ჩვენში არავის გაუხდია.

გენეალოგიური კვლევა მრავალმხრივაა საჭირო. უპირველესად იგი საშუალებას გვაძლევს თვალი გადადევნოთ პოლიტიკურად აქტიური ფეოდალთა კლასის ისტორიას, მის რაოდენობრივ თუ თვისებრივ ცვალებადობას, ცალკეულ ფეოდალურ სახლთა როლსა და ადგილს სახელმწიფოს ისტორიაში, მათ პოლიტიკურ პოზიციას. გარდა ამისა, გენეალოგიური კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავათარილოთ უთარილო ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიაც ესა თუ ის პირია მოხსენიებული, ზოგჯერ — დავად-

გინოთ დოკუმენტთა წარმოქმნის ადგილები, მოვახდინოთ ისტორიული ფაქტების ლოკალიზება და სხვ.

მეცნიერული გაგებით, გენეალოგიური კვლევა სრულიადაც არ გულისხმობს ვიწრო, შეზღუდულ კლასობრივ (წოდებრივ) მიდგომას, მხოლოდ პრივილეგირებულთა, არისტოკრატთა გვარჩამომავლობის კვლევას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გენეალოგიური კვლევა შესაძლოა უაღრესად საყურადღებო შედეგების მომტანი იყოს ნებისმიერი წარმოშობისა და წოდებრივი კუთვნილების ისტორიული პირის ან პირთა ჯგუფის დასახასიათებლად, მათი საქმიანობის, ქცევის, შემოქმედების გასაზრებლად, ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების გასაგებად.

გურიის თავად-აზნაურთა სია, რომელიც წინამდებარე გამოცემაშია წარმოდგენილი, გენეალოგიური კვლევის შედეგია და გენეალოგიურ ცნობარს წარმოადგენს, ამიტომ მას ინტერესით გაეცნობა საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველი.

რომ თვალსაჩინო იყოს, რამდენად მოულოდნელი და საყურადღებო ცნობები შეიძლება წარმოაჩინოს გვარჩამომავლობის კვლევამ, მოვიყვანოთ წინამდებარე სიისა და გურიის სამთავროს სხვა ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე დადგენილ რამდენიმე ფაქტს:

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ აზნაურული გვარი თაყაიშვილი XVIII საუკუნეშია გაჩენილი და იგი „გურიელის გაზრდილი“ აზნაურის თუ მსახურის თაყა სალუქვაძის ჩამომავლობაა. XVI საუკუნეში კობალაძის თავადობას (ერისთავად იჯდა!) ისიც ადასტურებს, რომ მას ცოლად გურიელის ასული ჰყავდა. თავად მაქსიმენიშვილთა გვარი (სხვადასხვა დოკუმენტებშია: მაქსიმეს-შვილი, მაქსიმიაშვილი, მაქსიმეიშვილი, მაქსიმელიშვილი) XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება და იგი, იოანე ბატონიშვილის ცნობით, გურიელთა განაყოფია. XVIII ს. ერთ დოკუმენტში მოხსენიებული სეხნიაშვილი სეხნია გუგუნავას ვაჟია, მამუკაიშვილი — მამუკა ნაკაშიძისა (ამ შემთხვევაში მამის სახელი გვარად არ ქცეულა). კახელი თავადი ქობულაშვილები წარმოშობით გურული ქობულები არიან: 1519 წელს ქობულია მზითვად გააყოლეს მამია I გურიელის ასულს თინათინს, რომელიც კახთა მეფე ლევან I-ზე გათხოვდა. ბაქარ ბატონიშვილის მოწმობით, ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთში წასული თავადი კახაბერიძე ვახტანგის დედას,

გურიელის ასულ თუთას, მზითვად მოჰყოლია. ამავე ცნობით, კახაბერიძე XII საუკუნეში, გიორგი III-ის დროს, გამოჰყოფია ბერიძეთა გვარს. თუთას გააყოლეს გურიელი თავადები — ძმები მაჭუტაძეები — ოთარი (იგივე ონოფრე, შემდეგ დავით-გარეჯის ცნობილი წინამძღვარი) და მაქსიმე (შემდეგში ბოლნელი ეპისკოპოსი). აზნაურ ტოკვის გვარი თავდგირიძეთა უკანონო შვილიდან მოდის (XVII ს.). დადასტურებულია გვარისსახელთა შეცვლა გვარის გაყოფის შედეგად, მაგ., სამებელი (ქობულეთის თემში) კაიკაციშვილი აზნაურ ქათამიძეთა განშტოებაა. შემოქმედში მცხოვრები საბაშვილები საბა ჩხატარაიშვილის ჩამომავალნი არიან: ნაკაშიძეთა 1840 წ. გაყრის წიგნში და შემოქმედის წმ. გიორგისა და ჭალის მთავარანგელოზთა ეკლესიების მეტრიკულ წიგნებში ისინი იხსენიებიან ორმაგი გვარით (საბაშვილი-ჩხატარაიშვილი). აზნაურ თავართქილაძეთა გვარი XVII საუკუნეში მოხსენიებულ მსახურთივაქრთილაძეთა ჩამომავალია, გოგოლიშვილი სამცხიდან მოსული გოგორიშვილია, XVII საუკუნიდან გურიის ერისთავები შარვაშიძეთა საგვარეულოდან არიან და ა. შ.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რამდენად რთული და საჭიროა გენეალოგიური კვლევა, რამდენად ძნელია გვარისსახელთა წარმოშობის შესწავლა.

II. მოკლე ცნობები გურიის თავადაზნაურობის შესახებ.

გურიის სამთავროს ფეოდალური არისტოკრატია ასეთი შემადგენლობისა იყო:

ქვეყნის სათავეში იდგა მთავარი — გურიელი, „ხელმწიფის“, „ხელმწიფე გურიელის“ ტიტულით. გურიელის სახლის წევრები ბატონიშვილებად ან გურიელისძეებად იწოდებოდნენ და საბატონიშვილო ყმა-მამულს ფლობდნენ.

ფეოდალური იერარქიის მომდევნო მაღალ საფეხურზე იდგნენ მსხვილი მემამულეები — თავადები. თავადისთვის დამახასიათებელი იყო მთავრისგან ნაბობები სათავადო მამული, სათავადო აზნაურები, ციხე, მონასტერი, კარის ეკლესია ან საჯვარე (სამწირველო), სასახლე, საგვარეულო სასაფლაო, სათავადო ადმინისტრაცია (კარისა და ადგილობრივი მოხელეები).

თავადებს ეკავათ სამთავროს უმაღლესი საერო და სასულიერო სახელოები (თანამდებობანი): სარდლის, სახლთუხუცესის, მოურავის, მესტუმრეთუხუცესის..., ეპისკოპოსის, წინამძღვრის... თავადობას ლაშქარ-ნადირობისა და მთავრის გამასპინძლების გარდა სხვა რაიმე სახელმწიფო ვალდებულება არ ედო. თავადის სისხლის საფასური უმაღლესი თანრიგით იყო განსაზღვრული. რაიმე მძიმე დანაშაულის გამო (მაგ., მთავრის ღალატი, ტყვის სყიდვა...) თავადი შეიძლებოდა დამცრობილიყო (წოდებიდან დაქვეითებულიყო) საპატიო კაცად ან აზნაურად. ასე მოუვიდა მაჭუტაძეების ნაწილს. დამცრობა შეიძლებოდა ყმა-მამულის შემცირებასაც მოჰყოლოდა ან პოლიტიკური მოვლენების შედეგი ყოფილიყო (ასე დაიმცრნენ კვერდელიძე, ბერიძე, ბერეჟიანი, კობალაძე...). დამცრობის თვალსაჩინო მაგალითია ჯაყელთა გვარი. სამცხის მთავრის სახლის ერთი ნაწილი, რომელიც თურქთა ბატონობას გურიაში გამოექცა, აქ ხიზნის მდგომარეობაში მყოფი, ცხადია, უმამულოდ აღმოჩნდა და გურიის აზნაურთა რიგებს შეერია (აქედანაა გურიაში გავრცელებული გამოთქმა „ჯაყელის კაცი“ — დამცრობილი, გაღარიბებული ფეოდალის ყმა, რომელსაც ანგარიშს არ უწევენ).

თავადებს ქვემოთ იდგნენ ს ა პ ა ტ ი ო კ ა ც ე ბ ი ანუ უაზნაურო თავადები, ჩვეულებრივ, გურიაში სხვა მხარეებიდან გადმოსულნი, მაგ. შალიკაშვილებისა და თავდგირიძეების ნაწილი. XIX საუკუნეში საპატიო კაცები რუსეთის მთავრობამ თავადებად ჩარიცხა.

თავადებისა და საპატიო კაცების რიცხვი მცირე იყო.

გურიის ფეოდალთა ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ სახელმწიფო (სამთავრო, „ტახტის“), საჯლესიო და სათავადო აზნაურები, რომელთა თავისუფლება („აზნაური“ თავისუფალს ნიშნავს) ვასალიტეტის დებულებით გარკვეულად შეზღუდული იყო. ეს შეზღუდვა იმაში გამოიხატებოდა, რომ აზნაურს ბატონის (სენიორის) ნებართვის გარეშე არ შეეძლო განეკარგა (გაეყიდა, შეეწირა) თავისი ყმა-მამული და ბატონის შეცვლის შემთხვევაში თავისი სააზნაურო ყმა-მამული უნდა დაეთმო. აზნაურს ვვალდებოდა: ბატონის პირადი სამსახური (შინაყმობა) და ქეშიკობა (დაცვა), ლაშქარ-ნადირობა და ხადილი ანუ გამასპინძლება. ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან რაიმე მძიმე დანაშაულის შემთხვევაში აზნაური შეიძლებოდა დაემცროთ, გლეხად ექციათ.

წარმოშობისა და ყმა-მამულის ოდენობის მიხედვით განირჩეოდნენ მცირერიცხოვანი „დიდებული დიდი აზნაურიშვილები“ ანუ „გვარჩამომავლობით დიდი აზნაურიშვილები“, მრავალრიცხოვანი საშუალო შეძლებისანი და მცირერიცხოვანი ხელმოკლე, უყმო აზნაურები. აზნაურთა ნაწილს ჰქონდა საკუთარი ციხე (იშვიათად) და კარის ანუ ეზოს ეკლესია ან საჯვარე და ეკავა სხვადასხვა ხელი: მეღვინეთუხუცესის, ქორებისკოპოსის, მოურავის, ხელოსნის (მამასახლისის), მოლარეთუხუცესის და ა. შ.

თავადები და აზნაურები (ლაშქრობავალდებულ უმაღლესი თანრიგის გლეხებთან — მსახურებთან ერთად) ქვეყნის დამცველ, მხედრულ ფენას შეადგენდნენ. ამავე დროს თავდაზნაურობიდან გამოდიოდა იმდროინდელი ინტელიგენცია. გურიის აზნაურები, როგორც საქართველოს ერთიანი სამეფოს ლაშქრის ერთი შენაერთი, უკვე XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის დროს, მოიხსენიება (ქართლის ცხოვრების ცნობა).

III. გურიის თავად-აზნაურთა წოდებაში დამტკიცება რუსეთის მთავრობის მიერ

საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისთანავე დაისვა ქართველ თავად-აზნაურთა რუსეთის თავად-აზნაურებთან უფლებრივი გათანასწოების საკითხი. ამ საქმის პირველი ეტაპი დაიწყო 1809 წელს და დამთავრდა 1831 წელს თბილისში სათანადო სამთავრობო კომისიის შექმნით. წოდებებში დამტკიცების საქმე ძალიან ნელა მიმდინარეობდა, რაც თავად-აზნაურთა უკმაყოფილებას იწვევდა. ამ საშიში ტენდენციის აღსაკვეთად და ქართველი თავდაზნაურობის რუსეთის სამსახურში ჩასაყენებლად მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა 1846 წელს ნიკოლოზ I-ს ამ საქმის დაჩქარება სთხოვა. იმპერატორმა სენატს უბრძანა სათანადო კომისიების დაარსება თბილისსა და ქუთაისში. ამ ბრძანების შესაბამისად 1846 წლის 30 მარტს დაარსდა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის თავდაზნაურობის დამდგენი დროებითი კომისიები. 1846 წლის 17 დეკემბერს ნიკოლოზ I-მა სენატს უბრძანა ასეთივე კომისიის შექმნა გურიისთვისაც. ამ კომისიაში შევიდნენ

თავადები: აკეთის უბნიდან — დავით ივანეს ძე მაჭუტაძე და გიორგი დავითის ძე ერისთავი; ოზურგეთის უბნიდან — მალაქია ქაიხოსროს ძე გურიელი და ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე; აზნაურები: აკეთის უბნიდან — სახაზინო („ტახტის“) აზნაური გიგო ივანეს ძე გოთუა და სათავადო აზნაური გიორგი ბეჟანის ძე ბერიძე; ოზურგეთის უბნიდან — სახაზინო აზნაური ქაიხოსრო გაბრიელის ძე თაყაიშვილი და სათავადო აზნაური ლევან გაბრიელის ძე ქარცივაძე.

1847 წ. 14 თებერვალს ვორონცოვმა დაამტკიცა და იმერეთისა და გურიის კომისიებს დაუგზავნა სამუშაო ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციის თანახმად წოდებაში დამტკიცებისთვის საჭირო იყო: 1) იმერეთის მეფეთა მიერ 1810 წ. 20 თებერვლამდე, ხოლო გურიის მთავართა მიერ 1826 წ. 21 ნოემბრამდე (1826 წ. 20 ნოემბერს გარდაიცვალა გურიის უკანასკნელი მთავარი მამია V) გაცემული დოკუმენტები, რომლებშიაც წოდების მაძიებელი მოხსენიებული იქნებოდა თავადად ან აზნაურად; 2) მეფეთა ან გურიელთა მიერ ყმა-მამულის ბოძების სიგელები; 3) მეფეთა ან მთავართა მიერ გაცემული დოკუმენტები რაიმე სახელის (თანამდებობის) ბოძებისა. სარდლის ხელის ბოძება აშკარად თავადობაზე მიუთითებდა, სხვა ხელი კი თავადსაც შეიძლებოდა ჰქონოდა და აზნაურსაც; 4) მეფის ან გურიელის მიერ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 23, 26—31 პარაგრაფების მიხედვით დამტკიცებული სისხლის განაჩენები, თუნდაც სამართლოს ამ გადაწყვეტილებებში არ ყოფილიყო აღნიშნული მაძიებლის წოდება; 5) საქართველოს მეფეებთან და მთავრებთან ქორწინებითი კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები; 6) აზნაურობის მაძიებელს შეეძლო წარედგინა სახელმწიფო მამულის ან მოხელეობის ბოძების სიგელი. ამას გარდა იყო რამდენიმე სხვა პირობაც, რაც მაძიებლის თავადობას ან აზნაურობას ამტკიცებდა.

1849 წლის 31 მაისს თბილისის კომისიამ, ხოლო 1849 წ. 13 ივნისს იმერეთისა და გურიის კომისიებმა მუშაობა დაამთავრეს და მისი შედეგები ამიერკავკასიის მხარის სამმართველოს საბჭოს გადასცეს. ვორონცოვმა ამ საბჭოს დაუავალა შეემოწმებინა კომისიათა დასკვნების საბუთიანობა და მოეფიქრებინა, თუ როგორ მოქცეოდნენ იმ მაძიებლებს, რომელთა პრეტენზიების განხილვაც კომისიებმა იმ დროისათვის ვერ მოასწრეს.

1850 წ. იანვარში საბჭომ რამდენიმე სხდომაზე განიხილა ეს საკითხი, წოდებათა მაძიებელები 4 კატეგორიად დაყო და სათანადო ოთხი სია შეადგინა.

პირველ კატეგორიას მიაკუთვნეს ის პირები, რომელთა თავადობა ან აზნაურობა 1849 წლისთვის უკვე დადასტურებული იყო. მათ სია გამზადდა დასამტკიცებლად. მეორე კატეგორიას შეადგენდნენ ისინი, რომლებიც წოდებებში ცნეს, მაგრამ რომელთაც კომისიამ დამატებითი მტკიცებები მოსთხოვა; მესამე და მეოთხე კატეგორიებში მოხვდნენ ისინი, ვისი საქმეების განხილვაც არ იყო დამთავრებული და უნდა გაგრძელებულიყო.

საბჭომ შეადგინა მეხუთე სიაც, — ვისაც წოდებებში დამტკიცებაზე უარი ეთქვათ და რომლებიც სახელმწიფო გადასახადის გადაზღვევით სიებში უნდა შესულიყვნენ, მაგრამ მათაც მიეცათ უფლება წოდების ძიება გაეგრძელებინათ.

1850 წ. 11 მაისს ვორონცოვმა მთავრობას სთხოვა: 1) დაემტკიცებინათ I და II კატეგორიის პირთა სიები; 2) ქუთაისში დაეარსებინათ გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო (თბილისში ასეთი ორგანო 1818 წ. დაარსდა) და 3) III და IV კატეგორიების პირთათვის მიეცათ წოდების ძიების უფლება.

მ. ვორონცოვის, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის ჩერნიშოვისა და იუსტიციის მინისტრის აზრით, ქართველ თავად-აზნაურთა წოდებებში დამტკიცება რომ არ დაყოვნებულიყო, თავად-აზნაურთა სიები სენატის ჰეროლდის დეპარტამენტში არ უნდა გადაეზოვნათ, უმჯობესი იყო მათი კავკასიის კომიტეტში განხილვა, სენატისა და იუსტიციის სამინისტროს თითო მოხელის მონაწილეობით, რის შემდეგაც სიები დასამტკიცებლად იმპერატორს უნდა წარდგენოდა. ასეც მოხდა: ნიკოლოზ I-მა ბრძანა, რომ სიები განეხილა დროებით კომისიას შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სენატორი, საიდუმლო მრჩეველი მატუსოვი, წევრები — იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მდივანი ზამიატინი და ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ვენევიტინოვი. კომისიის საქმეთა მმართველად დაინიშნა იუსტიციის მინისტრის თანაშემწე, კარის მრჩეველი ვერეინოვი. კომისიას დაევალა საქმის სასწრაფოდ განხილვა და დასკვნის წარდგენა კავკასიის კომიტეტში.

კომისიამ მუშაობა 1850 წ. 1 აგვისტოს დაიწყო და მალე თავისი დასკვნა დაზუსტებული სიებით კავკასიის კომიტეტს წარუდგინა. 1850 წლის 6 დეკემბერს სიები ხელმოწერით დაამტკიცა იმპერატორმა. იმავე დღეს ნიკოლოზ I-მა რესკრიპტით მიმართა ვო-

რონცოვს, აცნობა თავადაზნაურთა სიების დამტკიცება და იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა წინამძღოლების არჩევა ბრძანა (აღსანიშნავია, რომ იმერეთის თავადაზნაურობა გურიის თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევის წინააღმდეგ იყო, — გურია ადრე იმერეთის სამეფოს ნაწილი იყო და ცალკე წინამძღოლი არ უნდა ჰყავდეს). ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გაგარინმა გურულებს დაუჭირა მხარი და მათაც თავიანთ წინამძღოლად ლევან გურიელი აირჩიეს. ქუთაისში შეიქმნა გურიისა და იმერეთის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო. ამ საკრებულოს უფლება მიეცა განეხილა წოდების მაძიებელთა საქმეები და გაეცა წოდებაში დამტკიცების საბუთები, თავადებისგან ქონებრივად გამოეყო სათავადო აზნაურები და განეხილა ე. წ. აზნაურთა აზნაურების საკითხი (გურიაში ასეთი აზნაურები არ ჩანან). ნიკოლოზ I-მა 1850 წ. 6 დეკემბერს ხელახლა დაამტკიცა სათავადო აზნაურთა ქონებრივი გამოყოფის ჯერ კიდევ 1848 წელს დადგენილი, პეტერბურგის დროებითი კომისიის დაზუსტებული წესები. სათავადო აზნაურის გამოყოფა შეიძლებოდა: 1) ურთიერთშეთანხმებით; 2) თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მეშვეობით და 3) სასამართლოს საშუალებით. ეს წესები 1852 და 1859 წლებში დაზუსტდა და საბოლოო დადგენილება ამ საკითხზე კავკასიის კომიტეტმა 1860 წლის 5 სექტემბერს მიიღო.

დაინტერესებულ მკითხველებს მივუთითებთ იმ უმთავრეს გამოკვლევებსა და დოკუმენტებს, რომლებშიაც აღწერილია ქართველ თავადაზნაურთა წოდებებში დამტკიცების, სათავადო და აზნაურთა აზნაურების გამოყოფისა და საერთოდ პრივილეგიურებულ წოდებათა ისტორია: В. Линден, Высшие классы коренного населения Кавказского края и правительственные мероприятия по определению их сословных прав. Тифлис, 1917 г.; Акты Кавказской археографической Комиссии, т. X, 1885 г., с. 48—50; Акты... т. XII, 1904 г., с. 1326—1327; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, წ. I—III, 1973, 1981 და 1990 წწ.; დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, 1971 წ.; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო (საკანდიდატო დისერტაცია, 1964 წ., ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში).

აქვე, საკითხის სისრულისათვის, აღსანიშნავია უძველესი:

გურიის თავად-აზნაურთა 1850 წლის სია სრული არაა, სრულიად არ წარმოადგენს ყოფილი გურიის სამთავროს პრივილეგირებული წოდებების შემადგენლობას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წოდებებში დამტკიცება გრძელდებოდა 1850 წლის შემდეგაც, თვით 1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე; მეორეც იმიტომ, რომ მასში არ შესულა 1878 წლამდე თურქეთის საზღვრებში მყოფი ქვემო გურიის (კახაბერის, ბათომის, ჩაქვის, ქობულეთისა და ხინოს თემების) თავად-აზნაურობა. ქვემო გურია თურქეთის ხელში მოექცა ძირითადად 1703—1780 წლებში (ჩოლოქისპირა რამდენიმე სოფელი — ჩხეედენა, ქაქუთი, ნაცხავატევი — 1834—1841 წლებში). თურქეთში ე. წ. „თანზიმათის“ რეფორმის პერიოდში (1839—XIX ს. 70-იანი წლებში) მთავრობამ დააპყრობილ ქართულ მხარეებში გააუქმა ძველი ქართული მიწისმფლობელობა, სტამბოლში გაითხოვა ქართველ თავად-აზნაურთა საგვარეულო დოკუმენტები და აღარ დაუბრუნებია. მიუხედავად ამისა, ძირითადად დ. ბაქრაძის ძიების შედეგად (ამას ემატება რამდენიმე სხვა საარქივო საქმე) შესაძლებელია დადგინდეს ქვემო გურიის თავად-აზნაურთა ნაწილის გვარები. ესენია: ხ ი ნ ო ს თ ე მ შ ი — ცეცხლაძე და ქათამიძე (ქათამიძეებს XIX ს-ში გამოეყო შტო — კაიკაციშვილი); ქობულეთის თემში: თ ა ვ ა დ ე ბ ი : თავდგირიძე (XVII ს-ში სამცხიდან მოსული) და გუგუნავა (XVI ს-ში ერისთავად მჯდომი), მაჭუტაძე, მახაძე, კობალაძე, ართომე-ლაძე (ეს ოთხი გვარი XVII ს-ში უკვე დამცრობილია); ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი — მანელიშვილი, ცივაძე, გოგიტიძე, შაქარაშვილი, ჯაში, ჭყონია (XIX ს-ში ლანჩხუთიდან გადასული), წილოსანი, გიორგაძე, კომახიძე, პაპუნაიშვილი, თამაზაიშვილი, გოგოლიშვილი, ბოლქვაძე, ქარცივაძე, ბერიძე, ჯიჯავაძე (ჩიჯავაძე), ნაკაიძე, წუწუნავა, შარაშიძე (აჭარის სოფ. ალიქოღლებიდან გადმოსული). აღრინდელი (XVI—XVII სს.) დოკუმენტებით ამავე მხარის აზნაურები იყვნენ: ფარხანაძე, იაშვილი (იმერეთიდან), მელიმონაძე, ქობულია (ერთი ცნობით იგივე, ფარიჯანიანი; ეს გვარი იყო საჯავახოშიაც). შესაძ-ლოა, რომ აზნაურები იყვნენ თურქეთის ბატონობის დროს აღებად წოდებულნი: ინაიშვილი, დავითელაშვილი, ბაყუნაიშვილი...

ჩ ა ქ ვ ი ს თ ე მ შ ი : ბეჟანიშვილი (პირმსახურიძე), თურქეთის ბატონობის დროს აჭარის სოფელ ზენდიდიდან გადმოსახლებული, ბეგი (გურიის თავადი, ცხადია, არ ყოფილა), კირისილოღლი (ახვლედიანი), ჩიჯავაძე (ჩელებაღისშვილი), ხალვაში...

ბათომისა და კახაბერის თემებში: აზნაურები: ცინცაძე, ბიბინეიშვილი, ქიქავა, ლომყრუიშვილი, ბატატუნაშვილი, ზვამბაია (აფხაზეთიდან), შარაბიძე, სურმანიძე (აჭარის სოფელ ძენწმანიდან). სია არასრულია.

XIX ს. 20-იანი წლებიდან ბათომისა და კახაბერის მხარეთა გამგებლები, ბათომის სანჯაყ-ბეგები, იყვნენ აბაშიძეები, წარმოშობით იმერელი ფეოდალები. სანჯაყ-ბეგების საგამგებლო იყო აჭარის სოფელ დოლოგანიდან ზღვამდე და ციხისძირიდან ჭოროხამდე.

გურიის თავად-აზნაურთა 1850 წლის სია გურიის სამთავროს პრივილეგირებულ წოდებათა სრული ისტორიული სურათის მაჩვენებელი რომ არაა, კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მასში არაა შესული: სანიგოძე (იხსენიება XVII ს. დოკუმენტში), რამიძე ანუ რამიშვილი (XVII ს., გურიელის შათირი, ქობულეთის მებაჟე), მსხალაძე (XIX ს. დასაწყისი), შემოქმედელი ამბაკო შალიკაშვილი (1841 წ. ჯანყის მეთაური, გადასახლებაში მყოფი), საჯავახოელი აზნაურები — ნანეიშვილი და კალოიანი, დათუნაიშვილი (XIX ს.), ვაშალომიძე (XIX ს.), ტოკვი (XVII—XIX სს.), იობიშვილი (XVIII ს.)...

გამოქვეყნებულია 1865 წლის ერთი დოკუმენტი გურიის თავად-აზნაურთა დიდი ჯგუფის ხელმოწერით. ხელმოწერთა შორის არიან შემდეგი გვარების წარმომადგენლები: შაქარიშვილი, ჩიგოგიძე, კობალაძე, ქარცივაძე, მამულაიშვილი, თოიძე, მკელაძე, სურგულაძე, ხალვაში, სარჯველაძე, ნიკოლაიშვილი, ბერეუიანი და ნანაძე. არცერთი მათგანი 1850 წლის სიაში არაა შეტანილი. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ქარცივაძე 1850 წ. გურიის თავად-აზნაურთა წოდების დამდგენი კომისიის წევრი იყო, მაგრამ თვითონ ვერ მოხვდა სიაში.

გურიის თავად-აზნაურთა სრული სიის დადგენა შეუძლებელია კიდევ ერთი გარემოების გამო: დაკარგულია გურიის მთავრის სახლის არქივი (ოზურგეთის მაზრის არქივი, რომელიც სამთავროს დროინდელ უძველეს, მათ შორის ტყავზე დაწერილ დოკუმენტებსაც შეიცავდა, 1896—1898 წლებში ყასბებს მიჰყიდეს. რაც გადარჩა, ქაღალდად გაყიდეს 1920—1921 წლებში. ამავე ხანებში გაყიდეს სასოფლო საზოგადოებების არქივებიც). უფრო ადრე ხანძარმა იმსხვერპლა ქუთაისის საგუბერნიო არქივის ნაწილიც. დაკარგულია ხინოს, შემოქმედისა და ჯუმათის საკათედრო საყდრების დავთრებიც (დოკუმენტთა კრებულები).

IV. ონომასტიკოსის თვალით

„გურიის თავად-აზნაურთა საოჯახო სიაში“ შეტანილია სულ 269 ოჯახი, რომელთაგანაც 40 თავადთა წოდებას ეკუთვნის, დანარჩენი 229 კი — აზნაურთა წოდებას: გვარებიდან პირველ წოდებას მიეკუთვნება 7, მეორეს — 46, ერთი გვარი — მაჭუტაძე — გვხვდება როგორც თავადთა, ისე აზნაურთა შორის.

სიაში მოხსენიებული გვარებიდან ზოგი მხოლოდ გურიაშია ლოკალიზებული, ზოგი კი სხვა კუთხეებშიც გვხვდება. თვითონ გურიაში, ამ სიის მიხედვით, ოჯახების სიმრავლით გამოირჩევა გვარები: ჭყონია (21 ოჯახი), გოგიბერიძე (14), ნაკაშიძე (11), ჯაყელი (11) და სხვ. სამაგიეროდ, მხოლოდ თითო ოჯახად არის წარმოდგენილი აბულაძე, ბერიძე, ბებურიშვილი, გვიძე, გოთუა, კანდელაკი, მანელიშვილი, ჟღენტა, ცქიტიშვილი.

საინტერესოა ოჯახების შიდა სტრუქტურაც (ოჯახის წევრთა რიცხვი, მათ შორის კაცებისა და ქალების შეფარდება, მათი ნათესაური კავშირი). ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ბევრია გაუყოფელი ოჯახი, სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს. ასე, მაგალითად, ლევან კაციას ძე ნაკაშიძის ოჯახი 29 სულისაგან შედგება: თვითონ ლევანი, მისი ძმა ანტონი მეუღლითა და შვილებით და სამი ქვრივი რძალი (გარდაცვლილ ძმათა ცოლები) თავიანთი შვილებით. ამის გვერდით მანელიშვილის ოჯახში მხოლოდ ერთი სულია და ისიც ქალი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს მანელიშვილების ერთადერთი ოჯახია გურიაში, გასაგებია, რომ დღეს ეს გვარი იქ სულ აღარ გვხვდება (სხვაგანაც იშვიათია). საერთოდ, საინტერესოა იმის დადგენა, თუ როგორ წარიმართა ასე ზუსტად აღნუსხული გვარების გამრავლების პროცესი უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში. ამ საკითხით ალბათ დაინტერესდებიან დემოგრაფები.

გურიელთა ოთხი ოჯახიდან, რომლებიც სიაში პირველ რიგში იხსენიებიან, მესამეს მეთაურობს პოდპორუჩიკი დავით ვახტანგის ძე, რომელსაც ჰყავს მეუღლე ეკატერინე, 5 ვაჟი და 2 ქალიშვილი. ამათგან უფროს ვაჟიშვილს მამია ჰქვია. ეს გახლავთ შემდგომში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მამია გურიელი (1836 — 1891).

სიაში იხსენიებიან სხვა ცნობილი ისტორიული პირებიც, როგორცაა, მაგალითად, პრაპორშჩიკ დავით სიმონის ძე გუგუნავას ვაჟი სიმონი. სიმონ გუგუნავა (1839 – 1909) შემდგომში აგრეთვე ცნობილი პოეტი იყო, ავტორი პოემისა „თამარიანი“. ამავე სიაში თაყაიშვილთა შორის ვხედავთ ექვთიმე თაყაიშვილის მამა-პაპასა და ბიძებს, რომელთა პორტრეტებიც კოლორიტულად დაგვიხატა მეცნიერმა თავის მოგონებებში.

ერთი სიტყვით, წარმოდგენილ დოკუმენტში საინტერესო მასალას იპოვის ისტორიკოსიც, სოციოლოგიც, დემოგრაფიც, ლიტერატორიც. ის ასევე საინტერესოა ონომასტიკოს-ენათმეცნიერი-სთვის.

ონომასტიკოსი ყურადღებას მიაქცევს, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ სიაში წარმოდგენილი 52 გვარიდან ყველაზე მეტი — 23 — ძე-ზე ბოლოვდება, 13 კი — შვილ-ზე, ხოლო წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი ელ დაბოლოება აქვს მხოლოდ ორ გვარს (გურიელი, ჯაყელი), იან დაბოლოება — ერთს (ასათიანი). განსაკუთრებით საყურადღებოა მგერული ია, უა და ვა დაბოლოებიანი ძირბველი გურული გვარები: ყორდანია, ტუსკია, ყენია, ჭყონია, გოთუა, გუგუნავა, დუღუნავა. ცალკე გამოიყოფა ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი გვარები: ერისთავი, კანდელაკი, მდივანი. დასასრულ, ყურადღებას იქცევს უცნაური აღნაგობის და დღემდე დაუდგენელი ეტიმოლოგიის გვარები: ჟღენტი, ღლონტი, კვაშალი.

გვარზე არანაკლებ საინტერესოა პიროვნული სახელები, რომელთა რაოდენობაც ჩვენს დოკუმენტში 460-მდე აღწევს. აქედან 250-ზე მეტი კაცის სახელია და 200-ზე მეტი — ქალისა. ზოგი სახელი, რომელიც საუყუნე-ნახევრის წინათ ძალიან გავრცელებული ყოფილა, დღესაც ასევე ინარჩუნებს პოპულარობას (ალექსანდრე, ბეჟანი, გიორგი, დავითი, დიმიტრი, ივანე, იოსები, კონსტანტინე, ლევანი, მიხეილი, ნიკოლოზი, ოთარი, როსტომი... ანა, ეკა, მაკა, მარიამი, ნინო, რუსუდანი, სალომე, სოფიო...), ძველად პოპულარული ზოგიერთი სახელი კი დღეს იშვიათად და გვხვდება (გაბრიელი, მაქსიმე, სიმონი, ქაიხოსრო... ალათი, ბარბაღე, ელისაბედი, ეფემია, მართა, მზეხა, ფოტინე...).

განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი სახელები, რომლებიც მხოლოდ ჩვენს დოკუმენტში არის შემონახული ან გვარებში გამოიყოფა და სხვა წყაროებით ცნობილი არ ყოფილა. მაგალითად,

აგიაშვილის გვარის მიხედვით ვარაუდობდნენ, რომ ქართულში უნდა არსებულყო სახელი აგია. მართლაც, ასეთი სახელი დასტურდება ჭყონიების გვარში (№ 143).

როგორც ჩვენი დოკუმენტიდან ჩანს, მაქსიმელიშვილის გვარის ძველი ფორმა ყოფილა **მაქსიმენიშვილი**, რომელიც ამოსუჯალ ფუძედ გვავარაუდებინებს პიროვნულ სახელს **მაქსიმენ-ს**. ეს სახელიც ამავე დოკუმენტშია დადასტურებული სწორედ მაქსიმენიშვილების გვარში (№ 12).

ყურადღებას იქცევს ისეთი წმინდა ქართული სახელები, როგორცაა: მევარკაცი, მევარქალი, ბებიეითვალი, ბებუსი, ჯეგესია („წმინდა გიორგისა“) და სხვანი.

იშვიათ სახელთაგან ბევრი ცნობილი სახელის მოფერებითი ფორმაა ან სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებათა გზით არის მიღებული, ზოგი კი წარმოშობით სულაც არ ეკუთვნის საკუთარ სახელთა კატეგორიას და ასეთად მხოლოდ ვიწრო სოციალურ წრეში ქცეულა. ასე, მაგალითად, **სუდორინა** უთუოდ რუსული судариня-ს არაზუსტად აღქმის შედეგია (შეადარეთ კაცის სახელი ბარონ-ბარონია). ალბათ თემურყვას არასწორი წარმოთქმით არის გაჩენილი **თერშულვა**. იგივე შეიძლება ითქვას ზოგ სხვა სახელზეც: **ნალმანი** (შდრ. ნარიმანი), **როჯები** (შდრ. რეჯები), **უმაინი** (შდრ. ომაინი), **სელინოზი**, **სელინოზა**, **სერინოზა** (შდრ. სირინოზი), **ძილისხანა**, **ძილიხანა** (შდრ. ზილიხანი) და სხვ.

ამგვარ სახელთა გამორიცხვის შემდეგ რჩება ერთი წყება პიროვნული სახელებისა, რომლებიც ფორმითაც და მნიშვნელობითაც საინტერესოა, მიმზიდველია და მათი დაკარგვა დასანანია. ჩვენ ასეთებად მიგვაჩნია კაცის სახელები: ბიბონა, გიტული, გულვანი, ზგულა, მეტალო, მითავი, საყვა, ტატულა... ქალის სახელები: ატატა, გვიტინა, თუხარა, მატინე, მზესულა, მინატრე, სულიკა, ქაცუნა... იქნებ მომავალმა თაობებმა კვლავ გააცოცხლონ ასეთი სახელები.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას პიროვნულ სახელთა ქართულ-რუსული შესატყვისობის თაობაზე. სიაში წარმოდგენილი პირთა სახელები თავის დროზე, რა თქმა უნდა, ქართულიდან არის გადატანილი, ტრანსკრიბირებული, ამჟამად კი გვიხდება მათი რუსულიდან უკანვე გადმოღება. ერთი შეხედვით, ეს მარტივი პროცესია, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე როდია საქმე. მაგალითად, ის ქრისტიანული სახელები, რომლებიც ქართველებსა და რუსებს

საერთო გვაქვს, ზოგჯერ გადმოცემულია რუსული შესატყვისით და არა მთლად ზუსტი ტრანსკრიფციით: ექვთიმე — Ефимий და არა ЭКВИМЭ, სილიბისტრო — Сильвестр და არა Силибистро. ცხადია, ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ მათი უკან გადმოტანისას, მაგრამ ყოველთვის ამ გზას ვერ გავყვებით. მაგალითად Июлиан და Ивлиан ერთი და იმავე სახელის რუსული გრაფიკული ვარიანტები ეგონებოდა კაცს, ორივე ფორმა ერთდროულად რომ არ იყოს დადასტურებული ერთ ოჯახში ძმათა სახელებად, ასეთ შემთხვევაში კი აშკარაა, საქმე გვვაქვს ორ სხვადასხვა (თუმცა საერთო წარმომავლობის) სახელთან. ქართულში ეს სახელები ბოლოხმოვნია, ასე რომ, უნდა აღვადგინოთ **ოულიანე** და **იულიანე** (შდრ. აგრეთვე **ივლიტა** და **იულიტა**, **თეოდოსია** და **ფეოდოსია**, **აღათი** და **აღათია**).

ქალის სახელი Кацуна ქართულად **ქაცუნა** იქნება და არა **კაცუნა** (შდრ. ალ. დლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილი ფორმები: ქაცა, ქაცანა, ქაცინა, ქაცინე, ქაცო, ქაციკო.) ასევე Тута-ს შესატყვისია **თუთა** და არა **ტუტა**, Цапо—**ცაფო** და არა **ცაპო**. მაგრამ ძნელი სათქმელია, როგორ აღვადგინოთ ქართული ფორმა ვაჟის სახელისა Докаши — **დოკაში**, **დოქაში**, თუ **დოყაში**? ანდა ქალის სახელი Жупана ქართულად **ჟუპანა** იქნება, **ჟუფანა**, **ჯუპანა** თუ **ჯუფანა**? ქართულში არ არსებობს ქალის სახელი **ემზა**, არის **ემზა**. სიაში ნახსენები Емха (262) უთუოდ მიღებულია გრაფიკულ ნიადაგზე, ш და м ასოების აღრვეის შედეგად. ასეთივე აღრვეის ნაყოფია Шата (**შამა**).

დასაზუსტებელია ზოგი გვარის ფორმაც. სახელდობრ, როგორ გადმოვცეთ ქართულად Гогоберидзе—**გოგობერიძე** თუ **ლოლობერიძე**? არც ერთი და არც მეორე ამ შემთხვევაში შესატყვისად არ გამოდგება, რადგან ეს გვარები გურიის თავად-აზნაურთა შორის არ დასტურდება. როგორც ჩანს, დოკუმენტში მცირე შეცდომაა და აქ უთუოდ იგულისხმება გურიის აზნაურთა ერთ ერთი მრავალრიცხოვანი საგვარეულო — **გოგობერიძე**. ასევე მცდარი ფორმაა Шаварнадзе. ეს გვარი ნაწარმოებია პიროვნული სახელისაგან, რომელიც ჩვენსავე დოკუმენტში დასტურდება ორი ფორმით: **შავარდენა** და **შევარდენა**. ასევე ორნაირი ფორმით გვხვდება გვარიც (**შავარდნაძე** და **შევარდნაძე**), ჩვენ ქართულ ტექსტში წარმოვადგინეთ დღეს საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა **შევარდნაძე**. საერთოდ, როცა

აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე, ბუნებრივია, ის სწორდება, საეჭვო და პარალელური ფორმები კი, შესაძლებლობის ფარგლებში, უცვლელად არის დატოვებული.

გამოცემას ერთვის სახელთა საძიებელი, რომელიც დაეხმარება მკითხველს, ადვილად იპოვოს ესა თუ ის ფორმა.

ვფიქრობთ ამ სახით ეს გამოცემა გარკვეულ სამსახურს გაუწევს მკვლევართ და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

ჩენი სურვილია, რომ ამ გამოცემით სათავე დაედოს მსგავსი გამოცემების რიგს.

ქველი ჩხატარაიშვილი **ზურაბ ჭუმბურიძე**
ისტორიის მეცნიერებათა ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი; დოქტორი, პროფესორი

დედანს შისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია:
„ვამტკიცებ“

სანკტ-პეტერბურგი 6 დეკემბერი 1850 წ.

ბ უ რ ი ი ს
თავადთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ
პირთა სახელდებითი
ს ა ო ჯ ა ხ ო ს ი ა

თ ა ვ ა დ ე ბ ი

ბურიელები

1. პოდპორუჩიკი მალაქია ქაიხოსროს ძე

მეუღლე მისი თამარი

მათი ვაჟიშვილები: ქაიხოსრო

კონსტანტინე

მალაქიას ძმა, პორუჩიკი დიმიტრი

2. პორუჩიკი გიორგი ლევანის ძე

მეუღლე მისი ნინო

მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე

მიხეილი

ქალიშვილები: სოფიო

ბაბილინა

ემელიანა

3. პოდპორუჩიკი დავით ვახტანგის ძე

მეუღლე მისი კვატერინე

მათი ვაჟიშვილები: მამია

ამბაკო

ილია

ორბელი

ვახტანგი

ქალიშვილები: ივლითი

სოფიო

4. გიორგი დავითის ძე

მეუღლე მისი შაკო

მათი ვაჟიშვილები: დავითი

ალექსანდრე

ქალიშვილი მართა

გიორგის ძმები: პოდპორუჩიკი გრიგოლ დავითის ძე

პოდპორუჩიკი ლევან დავითის ძე

გ უ ზ უ ნ ა ვ ე ბ ი

5. პრაპორუჩიკი დავით სიმონის ძე

მეუღლე მისი ელისაბედი

მათი ვაჟიშვილი სიმონი

დავითის ძმა სეფედავლე

მეუღლე მისი ნინო

მათი ქალიშვილი გულჩინა

6. მანუჩარ ბერის ძე

მეუღლე მისი შართა

მათი ვაჟიშვილები: ბეჟანი

კონსტანტინე

სიმონი

ალექსანდრე
ქალიშვილები: ფოტინე
დოდო
ატატო

მანუჩარის ძმა ვარსანი
მეუღლე მისი მზეხა
მათი ვაჟიშვილი მამუკა

7. ალექსანდრეს ქვრივი ელისაბედი

მისი ვაჟიშვილი მიხეილი
ბეჟანის ქვრივი მაკა
მისი ქალიშვილები: დომნა
ნატალია

8. გიორგი ჩითანის ძე

მ ა ჯ უ ტ ა ძ ე ე ბ ი

9. პოდპოლკოვნიკი დავით ივანეს ძე

მეუღლე მისი დარუჯანი
მათი ვაჟიშვილები: პოდპორუჩიკი ალექსანდრე
პრაპორშჩიკი გიორგი

ქალიშვილები: სოფიო
სელინოზა
მართა

ალექსანდრეს მეუღლე ფედოსია
მათი ვაჟიშვილები: მელქისედეკი
სიმონი

ქალიშვილები: ბებუსი
ელისაბედი
კკა
კომატლუკა
ნატალია

გიორგის მეუღლე მინიკა

10. გიორგი ნალმანის ძე
მეუღლე მისი სოფიო
მისი ძმა ბერი

მ ა ქ ს ი მ ე ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი

11. პრაპორშნიკი დავით გიორგის ძე
მისი ვაჟიშვილები: პრაპორშნიკი ვახტანგი
პრაპორშნიკი გიტო
ქალიშვილები: დოდო
სალომე
ბარბალე
ატატო
ვახტანგის მეუღლე ანა
მათი ვაჟიშვილი სეილანი

12. ქაიხოსრო მაქსიმეს ძე
მისი ძმა ნიკოლოზი
მეუღლე მისი სოფიო
მათი ვაჟიშვილი დავითი
ქალიშვილი ელენიკა
გიორგის ქვრივი შუეხა
მისი ვაჟიშვილები: სამუელი
მაქსიმენი
ქალიშვილები: ელისაბედი
ეკა
მართა
ნინო

13. მიხეილ ლჯანის ძე

ნ ა კ ა შ ვ ი მ ე ნ ე ბ ი

14. პორუჩიკი ლჯან კაციას ძე
მისი ძმა პორუჩიკი ანტონი

მეუღლე მისი ელისაბედი
მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი
კაცია
ნიკოლოზი
ქალიშვილები: ეფემია
ოლღა

გიორგი კაციას ძის ქვრივი თამარი
მისი ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი დიმიტრი
ესტატე
თედორე
პეტრე

ქალიშვილები: თეოდოსია
სოფიო.
მაკა
ქეთევანი
ივლიტა
ტასია
ნატალია
კატერინე

დავით კაციას ძის ქვრივი ელისაბედი
მისი ვაჟიშვილები: მიხეილი
ალექსანდრე
გიორგი

ქალიშვილები: ნინო
მარინე

იოსებ კაციას ძის ქვრივი ნინო
მისი ქალიშვილი დესპინე

15. ვახტანგ ბეჟანის ძე

მეუღლე მისი როდამი
მათი ვაჟიშვილები: ბეჟანი
გიორგი
ქალიშვილი მინატრა

16. პრაპორშჩიკი კონსტანტინე ბეჟანის ძე მეუღლე მისი ლისა

მათი ვაჟიშვილი გლახუა
ქალიშვილი ნადეჟდა

17. პოდპორუნიკი გიორგი როსტომის ძე

მისი ვაჟიშვილები: ივანე
იოსები
ილარიონი
გრიგოლი
ქალიშვილები: მართა
სოფიო
ველუქსი

18. პოდპორუნიკი ბახუტა როსტომის ძე

მეუღლე მისი ატატო
მათი ვაჟიშვილი გიგო
ქალიშვილები: რუსუდანი
ნინო
ელისაბედი
ეკა
ესმა
მაკა

19. დავით ლაზარეს ძე

მისი ძმა ანტონი

20. საჯვარელ ივანეს ძე

მეუღლე მისი ეფემია
მათი ვაჟიშვილი გიორგი
ქალიშვილი მელანია

21. ალექსანდრე მამუკას ძე

მეუღლე მისი ნინო
მათი ვაჟიშვილები: მიხეილი
ივანე
ალექსანდრეს ძმა ლევანი
მეუღლე მისი თეოდოსია

22. პრაპორშჩიკი გიტულ ლაზარეს ძე
მეუღლე მისი ფეფინა
მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე
ივანე
ქალიშვილი მაკა

23. პრაპორშჩიკი გიგო თანდარუხის ძე
მეუღლე მისი ფიდახანა
მათი ვაჟიშვილი იოსები

24. კაცია მამუკას ძე

თ ა ვ ღ ბ ი რ ი ძ ე მ ბ ი

25. პოდპორუჩიკი ალექსანდრე მამუკას ძე
მეუღლე მისი სოფიო
მათი ვაჟიშვილი მითაგი
ქალიშვილი მარგარიტა

26. გიორგი მამუკას ძის ქალიშვილები:
შუხა
ატატო
ელისაბედი

27. პრაპორშჩიკი ფრიდონ მამუკას ძე
მეუღლე მისი თათია

28. პრაპორშჩიკი ყარამან მიზარბეგის ძე
მეუღლე მისი მარიაში
ყარამანის ძმები: გიორგი
ფოკა
და ანა

29. სოლომონ მამუკას ძის ქვრივი შუხა
მისი ვაჟიშვილები: ქიშვარდი
ლევანი

ავთანდილი
ქალიშვილი აღათი

30. ბეჟან როსტომის ძის ქვრივი აღათი
მისი ვაჟიშვილი როსტომი
ქალიშვილი ელისაბედი
ბეჟანის ძმის, გიორგი როსტომის ძის ქვრივი დოდო
მისი ვაჟიშვილი ბესო

ეროსთავები

31. პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე
მეუღლე მისი მარიაში
მათი ვაჟიშვილები: ივლიანე
დავითი
ალექსანდრე
თომა
გიგო
ქალიშვილები: ნინაზა
ელისაბედი.
სოფიო
მართა
ათინა
32. პორუჩიკი ლოშინ დავითის ძე
მეუღლე მისი ელენე
33. პოდპორუჩიკი დიმიტრი ვახტანგის ძე
მეუღლე მისი სოფიო
მათი ვაჟიშვილი ქაიხოსრო
ქალიშვილი კეკელა
დიმიტრის ძმები: პრაპორუჩიკი როსტომი
პრაპორუჩიკი კონსტანტინე.
ღები: თათია
ეჟემია

ეკა
ნინო
მაკა
როსტომის მეუღლე მახუა
მათი ვაჟიშვილი ივანე

34. პოდპორუჩიკი ზურაბ დავითის ძე
მეუღლე მისი ქეთევანი

35. პრაპორუჩიკი მიხეილ ქაიხოსროს ძე
მეუღლე მისი მათა
მათი ვაჟიშვილები: დავითი
იასონი
შალვა
ქალიშვილები: დავარი
ელეონორა
მიხეილის დები: მაკა
მართა
ნინო

36. პრაპორუჩიკი გიორგი სიმონის ძე
მისი ვაჟი ლევანი
ქალიშვილები: ფოტინე
ელისაბედი
ნინო
გიორგის დები: სოფიო
კესარია
მაკა
მინიკა

37. კოლეგის რეგისტრატორი დავით გრიგოლის ძე
მეუღლე მისი: ჯაჯიკა
მათი ვაჟიშვილები: სოლომონი
პლატონი
გრიგოლი
ქალიშვილები: ფეოდოსია
ელისაბედი

38. ნიკოლოზ გრიგოლის ძე
მეუღლე მისი ეკატერინე
მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი
კონსტანტინე

39. პრაპორშჩიკი ანტონ გრიგოლის ძე

40. სიკო დავითის ძე
მეუღლე მისი ანა

ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი

ა ბ უ ლ ა ძ ე ე ბ ი

41. პრაპორშჩიკი ზაალ ივანეს ძე
მეუღლე მისი დარეჯანი
მათი ვაჟიშვილები: აღმასხანი
ანტონი
გიორგი
ქალიშვილები: მასულა
მანიჟა
ელისაბედი
ჩაფო
ებისტონა

ა ნ თ ა ძ ე ე ბ ი

42. ჭაიხოსრო პაატას ძე

43. ბეჟუკა ზოსიას ძე
მეუღლე მისი მაკა

44. მერაბ გიორგის ძე
მისი ძმები: იოსები
დავითი
დები: ჯუფანა
ვარდო

ოსების მეუღლე თათია
მათი ქალიშვილები: მართა
ეფროსინე

45. გრიგოლ ბესარიონის ძე
მეუღლე მისი ნინო
მათი ვაჟიშვილები: ოქროპირი
ალექსი
ამბაკო
ბესარიონი
ტარიელი
ქალიშვილი ირინე

46. სიკო ეგნატეს ძე
